

The book cover features a stylized illustration. On the left, a grey stone wall with a blue arched window is visible. The right side is dominated by a dark blue, textured background. At the bottom, there are curved, layered shapes in shades of grey and tan, suggesting a landscape or architectural elements.

შუა საუკუნეების
ქართული გადმოცემა
ჩრდილო საგადაცემები

GEORGIAN CHANTS
FROM THE MIDDLE AGES
SELECTED PEACES

საქართველოს უმცლემო სხედმეწმ მენგნი
თბილისის სხედმეწმ კონსერვტორი
საქვედმქვედმ უმნი ქტმედი გელმბ

THE FOLKLORE STATE CENTER OF GEORGIA
TBILISI STATE CONSERVATOIRE
GEORGIAN CHANTING FOUNDATION

შუა სუკუნეების ქტმედი გელმბ

რხეუდი სგელმბდები

GEORGIAN CHANTS FROM THE MIDDLE AGES

SELECTED PEACES

თბილისი
2018
TBILISI

შეგვერდნენ – სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
COMPILER – SVIMON (JIKI) JANGULASHVILI

აღწერები: რუსუდან ტურტუმია, თამარ ჩხეიძე
EDITORS: RUSUDAN TSURTSUMIA, TAMAR CHKHEIDZE

მუსიკალური აღწერები: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
MUSIC EDITORS: LEVAN VESHAPIDZE, SVIMON (JIKI) JANGULASHVILI

მთარგმნელები: მარია ტოტხალაშვილი, ნუცა ლომსაძე
TRANSLATORS: MARIAM TSOTSKHALASHVILI, NUTSA LOMSADZE

თარგმანის აღწერა – ერიკ ჰალვორსონი
ENGLISH TEXT EDITOR – EIRIK HALVORSON

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ლევან ვეშაპიძე
COMPUTER SERVICE – LEVAN VESHAPIDZE

ნახაზი გაკვეთილი: გიორგი ერისთავი
COVER PAINTING: GIORGI ERISTAVI

პროექტის კოორდინატორი – ნინო რაზმაძე
PROJECT COORDINATOR – NINO RAZMADZE

© სახალხო მუსიკის სახელმწიფო ცენტრი / THE FOLKLORE STATE CENTRE OF GEORGIA, 2018

© თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია / TBILISI STATE CONSERVATOIRE, 2018

© სახალხო მუსიკის ფონდის დაარსებელი / GEORGIAN CHANTING FOUNDATION, 2018

ISMN

ქართული გალობა

I. ისტორია

ქართული საეკლესიო გალობის ისტორია უშუალოდ დაკავშირებული საქართველოში ქრისტიანობის შემოღებასა და გავრცელებასთან. ქრისტიანობა საქართველოში I საუკუნეში იქადაგეს მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ; IV საუკუნეში (325 წ.) კი, იგი უკვე სახელმწიფო რელიგიაა.

ქართული გალობა, როგორც ქართული ქრისტიანული ღვთისმსახურების განუყოფელი ნაწილი, სათავეს იღებს იმ პერიოდიდან, როდესაც ქართულად ითარგმნა სახარება, წირვის საგალობლები და ფსალმუნები. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ლიტურგიული ძეგლი – „შუშანიკის წამება“ (V ს.), რომელშიც განცალკევებულად მოიხსენება „ევანგელი“, „ფსალმუნება“ და „გალობა“. V საუკუნეში საქართველოს ეკლესიამ ბიზანტიური ეკლესიისაგან დამოუკიდებლობა – ავტოკეფალია მოიპოვა. ამ დროიდან ქართულ ქრისტიანულ კულტურას ეროვნული იდენტობის გამოხატვისაკენ სწრაფვა ახასიათებს. წერილობით დადასტურებულია, რომ ქართულ ეკლესიაში უკვე VI საუკუნეში წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინებოდა¹, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ ამ პერიოდში უნდა ჩამოყალიბებულიყო ორიგინალური ქართული გალობა. IV–VI საუკუნეებში დანყებული გალობის (ჟამისწირვის საგალობლები და ფსალმუნები) განვითარება, მოგვიანებით, სხვა ქრისტიანულ ეკლესიათა გავლენით, ჩვენშიც ახალი ჰიმნოგრაფიული ჟანრების (ტროპარი, კონდაკი, კანონი და ა.შ.) ფორმირება-განვი-

1 წმ. საბა განწმედილის (+532) ანდერძის თანახმად, მის ლავრაში ქართულ საძმოს სხვადასხვა მსახურების ქართულად აღსრულების ნება ჰქონდა, რაც დასტურია იმისა, რომ უკვე VI საუკუნის დასაწყისში, ქართული ლიტურგია სრულყოფილი სახით (ცხადია, გალობითურთ) არსებობდა.

თარების პროცესთან ერთად გაგრძელდა.

ქართული ქრისტიანული კულტურა ვითარდებოდა როგორც ადგილობრივ, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ სულიერ კერებში – პალესტინაში, სინას მთაზე, ათონზე, იერუსალიმში და, ამდენად, მუდმივი შეხება ჰქონდა სირია-პალესტინურ, ბიზანტიურ, კოპტურ და სხვა თანადროულ ქრისტიანულ კულტურებთან. V–VIII საუკუნეებში პალესტინასა და სინას მთაზე ოცამდე ქართული სავანე ყოფილა. მათ შორის გამოირჩეოდა საბა განწმედილის ლავრა, სადაც საფუძველი ჩაეყარა ორიგინალურ ქართულ ჰიმნოგრაფიას (VII ს.), რომელიც, თავდაპირველად ბერძნულიდან თარგმნილი ჰიმნებით იყო წარმოდგენილი. თარგმნილმა ჰიმნოგრაფიულმა მასალამ თავი მოიყარა უძველეს ქართულ ძეგლებში – ლექციონარებში. შემორჩენილია ლექციონარის უძველესი რედაქციის რამდენიმე ნუსხა (კალის, ლატალის, პარიზის და სინური ნუსხები), რომლებიც ასახავენ იერუსალიმის ლიტურგიკულ პრაქტიკას V საუკუნის მიწურულიდან ვიდრე X საუკუნემდე. ლექციონარში უკვე ჩანს გალობის შესრულების სამი ძირითადი სახე: რესპონსორული, ანტიფონური და ცალპირული.

ლექციონარების საფუძველზე შეიქმნა პირველი დამოუკიდებელი ჰიმნოგრაფიული კრებული – იადგარი, რომელშიც ერთიანდებოდა მთელი წლის განგებებზე შესასრულებელი საგალობლები. შემორჩენილია უძველესი იადგარის რამდენიმე ნუსხა, რომელთაგან მხოლოდ ერთია დაცული საქართველოში², დანარჩენი კი (IX, X სს.) სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში³. უძველესი იადგარები შეიცავენ უნიკალურ ცნობებს ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების ადრეული

2 H-2123 – ჭილ-ეტრატის იადგარი, IX-X სს მიჯნა.
3 Sin. 18, Sin.40, Sin.41, Sin.34, Sin.26, Sin.20 – IX, X სს.

საფეხურებისა და საგალობლების შესრულების ნესზე. მაგალითად, აქ უკვე ჩანს „გალობის“ ცნებისა და ანტიფონური შესრულების აღმნიშვნელი ადრინდელი ქართული სინონიმები.

X საუკუნიდან არაბთაგან შევიწროებული წმინდა მიწის სავანეებიდან ქართველობამ საბანმიდური ხელნაწერები აღმოსავლეთ საქრისტიანოს სხვადასხვა მონასტერში გადაიტანა. სავარაუდოდ, სწორედ ამ გზით მოხვდნენ ისინი სინას მთაზე, სადაც გრძელდებოდა საბანმიდის ჰიმნოგრაფიული სკოლის ტრადიციები.

ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარების შემდგომი ეტაპი დაკავშირებულია ტაო-კლარჯეთის სამონასტრო სკოლებთან, რომელთა მესვეური იყო IX საუკუნის დიდი საეკლესიო მოღვაწე, ღირსი მამა გრიგოლ ხანძთელი. მას თავად შეუთხზავს საგალობელთა სრული კრებული – „სანელინდო იადგარი“, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა ორიგინალური ჰიმნოგრაფიის შემდგომ განვითარებას. IX საუკუნიდან, მთარგმნელობითი პროცესის პარალელურად, ინტენსიურად ვითარდება ორიგინალური ჰიმნოგრაფიული შემოქმედება. განვითარების ეს პროცესი დაგვირგვინდა X საუკუნის ე.წ. დიდი იადგარების შექმნით (წვირმის იადგარი, იელის იადგარი, მიქაელ მოდრეკილის იადგარი). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეხური დიდი იადგარები. მეხური ქართული ჰიმნოგრაფიული ტერმინია, რომელიც აღნიშნავს ახალი „მარცვლედოვანი საზომით“ დაწერილ (ან თარგმნილ) და მელოდიასთან შეწყობილ საგალობლებს. მეხური იადგარები შეიცავენ მუსიკალური დამწერლობის უძველეს ნიშნებს – ნევმებს. რვა ხმის სისტემის დაკანონებამ და ძლისპირ-დასდებლის ფორმის გაბატონებამ ნევმური ნოტაციის შემოღების საჭიროება მოიტანა. ამ დროს ყალიბდება ჰიმნოგრაფის ახალი ტიპი – „მეხელი“, ანუ „დასდებლის მეცნიერებაში“ დახელოვნებული პირი, რომლის ამოცანას შეადგენდა ადრებიზანტიური რიტმული პოეზიის ნიმუშების ქართულად თარგმნა მათი რიტმული სახის დაცვით და ქართული ჰანგის მორგება და განაწილება

ბერძნულიდან თარგმნილ ქართულ ტექსტზე. მეხურ იადგარებს შორის გამოირჩევა მიქაელ მოდრეკილის კრებული „სანელინდო იადგარი“ (S-425), რომელშიც თავმოყრილი და სისტემატიზებულია მანამდე არსებული მთელი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა – ნათარგმნი და ორიგინალური. იადგარიდან ჩანს, რომ ამ პერიოდისათვის ქართველები თხზავდნენ ორიგინალურ ძლისპირებსა და მათ მუსიკას. კრებული შედგენილია 978–988 წლებში, აღკაზმულია ნევმებით.

XI საუკუნიდან ქართული ქრისტიანული ლიტერატურისა და მუსიკის უმძლავრესი კერაა ათონის ივერთა მონასტერი. ამ სკოლის ფუძემდებლების, წმინდა მამების – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების სახელებს უკავშირდება ქართული ჰიმნოგრაფიის ახალი ეტაპი და ჰიმნოგრაფიული თარგმანების ახალი პრინციპები. ათონელმა მამებმა ბერძნულიდან თარგმნეს უმნიშვნელოვანესი ჰიმნოგრაფიული კრებულები. ათონის ივერთა მონასტერში ძველი ტიპის „სანელინდო იადგარები“ შეიცვალა ახალი ტიპის კრებულებით – თთუენით. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი მთაწმინდელის მიერ შედგენილი „თთუენი“, სადაც მან თავი მოუყარა ამა თუ იმ წმინდანისადმი მიძღვნილ ყველა ავტორის საგალობელს. მსგავსი სისრულით „თთუენი“ ბერძნულ ენაზეც არ არსებობდა. გიორგი მთაწმინდელი არა მხოლოდ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა, არამედ თავადაც ქმნიდა ორიგინალურ ტექსტებსა და მუსიკას.

XI საუკუნეში მნიშვნელოვან ლიტერატურულ-ფილოსოფიურ კერას წარმოადგენდა პეტრინონის მონასტერი (ბულგარეთი), 1083 წ. აშენებული ეროვნებით ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ. მონასტერში დაარსებულ სემინარიას 20 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა იოანე პეტრინი – ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ქართველი ფილოსოფოსი-ნეოპლატონიკოსი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული შუა საუკუნეების ქართული მუსიკალურ-ესთეტიკური აზროვნების ჩამოყალიბება და ქართული მრავ-

ვალხმიანობის ჩვენამდე მოღწეული პირველი წერილობითი დადასტურება. თავის შრომაში „განმარტებაჲ პროკლეს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“ იგი ასახელებს სამი ხმის იმდროინდელ სახელწოდებებს: „მზახრ“ (ნიშნავს „მძახებელს“), „ჟირ“ („ორი“), „ბამ“ (იგივეა, რაც ბანი) და ქართველ მკითხველს მუსიკალური ანალოგიით – სამი ხმის „შეყოვლებით“ შექმნილი ერთობლიობის მაგალითზე – უხსნის სწავლებას ღვთაებრივი ერთარსება სამების შესახებ. ჩანს, რომ პეტრინის დროს პოლიფონია საქართველოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ხოლო ხმების ორიგინალური სახელები – ყველასათვის კარგად ცნობილი, სწორედ ამიტომ ფილოსოფოსი სამების დოგმატს ქართველებისათვის კარგად ნაცნობი ცნებებით განმარტავს.

XII საუკუნიდან ადგილობრივ საგანმანათლებლო-სასულიერო კერებს შორის უმნიშვნელოვანესია გელათის მონასტერი, რომელიც დავით აღმაშენებლის თაოსნობით დაარსდა. ეს მონასტერი XX საუკუნის დასაწყისის ჩათვლით ქართული საეკლესიო გალობის ერთ-ერთ უმთავრეს კერას წარმოადგენდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველა ზემოხსენებულ რელიგიურ-კულტურულ ცენტრში ვითარდებოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა არა მხოლოდ ჰიმნოგრაფიული ჟანრები, არამედ ქართული გალობის ყველა პლასტი. ამასთან, ჰიმნოგრაფიის ასეთი მძლავრი განვითარება და თვითმყოფადობა თავისთავად მიანიშნებს ძირითადი ლიტურგიკულ-მუსიკალური ჟანრის – ჟამისწირვის და მის საგალობელთა განვითარების ინტენსივობაზე. შემთხვევითი არაა, რომ XIX საუკუნემდე მოღწეულ და ნოტირებულ სამგალობლო ტრადიციაში განსაკუთრებული მელიოდიური, პოლიფონიური და ჰარმონიული განვითარებულობითა და მრავალფეროვნებით, სწორედ ჟამისწირვის ჰიმნები გამოირჩევიან.

XIII-XVI საუკუნეებში საქართველოში შექმნი-

ლი მძიმე ვითარების შედეგად ქართული საგალობო ხელოვნება დაცემის გზას დაადგა. გაძარცვულ ტაძრებში ბევრი ჰიმნოგრაფიული კრებული განადგურდა. დარბევას გადარჩენილ ეკლესია-მონასტრებში კვლავაც ჟღერდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ქართული საგალობელი, რომელმაც არსებობისთვის კიდევ ერთი, ალტერნატიული გზა იპოვა – მან ეკლესიის წიაღიდან საერო ცხოვრებაში გადმოინაცვლა და ხალხურ სიმღერასთან დაახლოებით განვითარების ახალი სტიმული შეიძინა. მიუხედავად მძიმე ისტორიული პირობებისა, როგორც ჩანს, ქართული გალობის ბუნებრივი განვითარების პროცესი, მეტად ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა. ამაზე მიუთითებს ჩვენამდე მოღწეული XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღებული „სადღესასწაულოდ“ წოდებული ჰიმნოგრაფიული კრებულები და XIX საუკუნემდე მოღწეული და ნოტირებული ათასობით საგალობელი.

XVIII საუკუნის დასასრულს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ ითავა გალობის აღდგენა-აღორძინების საქმე. ამ მიზნით ჩამოყალიბდა სვეტიცხოვლის საკათალიკოსო სკოლა, სადაც გალობას ასწავლიდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საგანგებოდ მოწვეული ცნობილი მაგალობლები. გამოცოცხლების ეს პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ (1811 წ.), ქართულ ტაძრებში ქართული ენისა და გალობის აკრძალვამ და რუსული წირვა-გალობის დამკვიდრებამ ქართული გალობა განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან რუსეთის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულმა ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ საფუძველი დაუდო ბრძოლას ქართული ტრადიციული ლირებულებების, მათ შორის, გალობის გადარჩენისათვის. ამ პერიოდში საგალობლების ნოტებზე გადატანით, ფაქტობრივად, დასრულდა შუასაუკუნეების ქართული ქრისტიანული სასულიერო მუსიკის განვითარების 15 საუკუნოვანი ისტორია.

გალობის საუკეთესო მცოდნეთაგან საგალობლების ჩანერაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ნმ. ფილიმონ ქორიძეს, ნმ. ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეს, ანტონ დუმბაძეს, დიმიტრი ჭალაგანიძეს, ივლიანე წერეთელს, დეკანოზ რაჟდენ ხუნდაძეს, ნმ. ილუმენ ექვთიმე კერესელიძეს, ნმ. ეპისკოპოსებს ალექსანდრე ოქროპირიძესა და სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილს, ნმ. დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილს, ალექსანდრე და დავით მოლოდინაშვილებს, მიხეილ ელიზბარაშვილს, ფილიმონ კარბელაშვილს, დავით ჩიჯავაძემიხაილოვს და სხვ. აღსანიშნავია რუსი მუსიკოსების – მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის, ქრისტეფორე გროზდოვისა და ნიკოლოზ კლენოვსკის დამსახურება. ამ პიროვნებათა შემწეობით ნოტირებულია ათასობით საგალობელი, რომლებიც ამჟამად დაცულია საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში. საგალობელთა ნოტირების საქმეში არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოში პირველი სანოტო სტამბის დამაარსებლის – მაქსიმე შარაძისა და ამ საქმეში მის ხელისშემწყობთა – ნმ. ილია მართლის (ჭავჭავაძე) და ალექსანდრე ხახანაშვილის როლი⁴.

1921 წლიდან ქართულ გალობას და, საერთოდ, სულიერებას კიდევ ერთი საშიში დაბრკოლება აღუდგა წინ – კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდა ქრისტიანულ რელიგიას. ძველი ქართული გალობა გარკვეული პერიოდის მანძილზე დაკარგული აღმოჩნდა, თუმცა ქართული საზოგადოება ამას ძნელად ეგუებოდა. საბჭოური რეჟიმის პირობებშიც, 1960-იან წლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მომღერალ-მგალობელთა უკანასკნელი წარმომადგენლის, არტემ ერქომაიშვილისაგან (1887–1967) ასამდე საგალობელი ჩაინერეს, ხოლო სახელგანთქმული ფოლკლორული ანსამ-

ბლები „გორდელა“ და „რუსთავი“ სცენაზე თუ აუდიოჩანაწერებში საგალობლებს „ქორალის“ სახელით ასრულებდნენ. 1978 წლიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის თაოსნობით ეკლესიებში აჟღერდა სხვადასხვა კომპოზიტორის მიერ შექმნილი საგალობლები და ძველი ტრადიციული გალობის ნიმუშები.

ქართული ტრადიციული გალობის მასშტაბური აღორძინება დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, როდესაც თბილისის ანჩისხატის ტაძრის გუნდის წევრებმა მოიძიეს ქართული გალობის სანოტო გამოცემები და ჩანაწერები და ღვთისმსახურებაში ააჟღერეს ეს უძველესი მუსიკა. დღეისათვის, საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით, ქართულ ტაძრებში ღვთისმსახურება აღევლინება მხოლოდ ძველი ქართული საეკლესიო საგალობლების თანხლებით.

II. ლიტურგიკული ნიგნები

ქართველმა ჰიმნოგრაფებმა ადრეულ შუა საუკუნეებშივე თარგმნეს ყველა ლიტურგიკული კრებული, რაც კი შეუშუშავებია მართლმადიდებლურ ეკლესიას. ამასთან, ისინი არ კმაყოფილდებოდნენ ამ კრებულების მარტოოდენ გადმოთარგმნით, არამედ ამდიდრებდნენ მათ ორიგინალური საგალობლებით და თავადაც ადგენდნენ კრებულებს ბიზანტიური და ქართული წყაროების უხვი გამოყენებით. შედეგად, მივიღეთ როგორც ზოგადქრისტიანული, ასევე ინდივიდუალური ტერმინოლოგიის შემცველი ზოგიერთი ორიგინალური ქართული კრებული, რომელთაც, შესაძლოა მცირე, მაგრამ განმასხვავებელი დეტალი გააჩნიათ შესაბამის ბერძნულ კრებულთან შედარებით; მათ შორისაა – *იადგარი*, *ხმანი* და *გუერდნი* (ოქტოიხოსის ჰიმნების კრებული), *ძლისპირნი* და *ღმრთისმშობლისანი*.

ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში შემუშავდა ორიგინალური კრებული *გულანი* (ბერძნული შესატყვისი – პანდექტი). მასში თავმოყ-

⁴ სრულფასოვნად ნოტირებული ქართული ტრადიციული საგალობლების პირველი კრებულები გამოიცა 1895–1911 წლებში.

რილია ყველა საღვთისმსახურო წიგნი, რაც კი იკითხება წლის განმავლობაში და დიდი მოცულობით გამოირჩევა. XVIII საუკუნის ქართულმა ჰიმნოგრაფიულმა და XIX საუკუნის სანოტო ძეგლებმა შემოგვინახა დიდი პარასკევის ცისკრის განგება სახელწოდებით „შეხვეტილიანი“, რომელიც შინაარსობრივად და კომპოზიციური თავისებურებებით პასიონის ჟანრს უახლოვდება.

III. მუსიკა

ქართველ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ვინაიდან ქრისტიანობა საქართველოში ბიზანტიიდან შემოვიდა, საქართველოს ეკლესიაში თავდაპირველად მონოდიური გალობა უნდა დამკვიდრებულიყო (ებრაული, სირიული, ბერძნული ან რომაული ლიტურგიის გავლენით). არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, ადრე, ქრისტიანული პერიოდიდანვე, ქართული გალობა მრავალხმიანი იყო⁵.

დღეს ძნელია, ზუსტად განვსაზღვროთ, როდის მოხდა ბიზანტიური ჰანგების „საკუთარ გემოზე მოქცევა“⁶ ანუ გამრავალხმიანება. მაგრამ, ეს პროცესი დიდხანს არ დააყოვნებდა. საქართველოში შემოსულ მონოდიურ გალობას თვითმყოფადი ეროვნული მუსიკალური აზროვნება დახვდა, რომლის ძირითად პრინციპს მრავალხმიანობა წარმოადგენდა და რომელშიც არეკლილი იყო ეთნოსის მიერ სამყაროს აღქმის თავისებურებები. ამიტომ სამხმიანი ქორალი იქცა ქრისტიანული სამების ხატებად და ქართველთა ქრისტიანული მსოფლალქმის გამომხატველად

ფოლკლორული მუსიკისაგან განსხვავებით, სადაც დღემდე ცოცხლადაა შემონახული როგორც ერთხმიანი ისე ორ, სამ და ოთხხმიანი სიმღერები და მრავალხმიანობის მრავალფეროვანი ფორმები, ქართული საგალობელი, უპირატესად, სამხმიანია⁷. იგი ეროვნული ეკლესიის წიაღში შობილი პროფესიული მუსიკის ნაყოფია და, ბუნებრივია, შინაგანი ორგანიზების ლოგიკით მისი მრავალხმიანობაც სხვაობს ხალხური მრავალხმიანობისგან – საგალობლის კომპოზიციას საფუძვლად უდევს მელოდიური ფორმულა, რომელიც მრავალხმიანი და იმპროვიზაციული განხორციელებისთვისაა გამიზნული. საგალობელს არ ახასიათებს არც ფოლკლორული მუსიკისათვის ნიშანდობლივი რიგი კომპოზიციური თავისებურებები (მაგ. ოსტინატურობა, იოდლი, ბურდონული ბანის ფონზე ზედა ხმების მელიზმატიკური კონტრაპუნქტი და სხვ.). საგალობელში ვხვდებით როგორც ჰეტეროფონიულ, ისე პოლიფონიურ, მათ შორის, რთულ პოლიმელოდიურ ფაქტურას, რომელიც სხვადასხვა სამგალობლო სკოლისა და სტილის ნიმუშებში განსხვავებული ფორმებითა და ვარიანტულობით ვლინდება. ამასთან, უცვლელია მთავარი პრინციპი – გამეორება განახლებითა და „გამშვენებით“.

ქართულ საგალობლებში მელოსის ჰორიზონტალურ განვითარებასთან თანაარსებობს ზედა ხმაში მოცემულ მთავარ ჰანგთან დანარჩენი ხმების ვერტიკალში მუდმივი კოორდინაციის პრინციპი. მისი ჰარმონიული სისტემა მოდალურია და დიატონურ კილოურ სისტემას ემყარება; ვერტიკალი, უპირატესად, კონსონირებულია, ამასთან, პოლიფონიზებულ ფაქტურაში ხშირია დისონანსების გამოყენებაც; გა-

5 ასე მიაჩნიათ წმინდანად შერაცხულ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონს (საძაგლიშვილი) და დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილს. მათი ეს მოსაზრება, ფაქტობრივად ქართული ეკლესიის „გარდამოცემა“, ანუ ტრადიციული სწავლებაა, რომლის ირიბ არგუმენტსაც ადრექრისტიანული ლიტურგიის თავისებურებები, მათ შორის, მრევლის მიერ გალობის იმპროვიზაციულად შესრულება წარმოადგენს.

6 ამის შესახებ XIX საუკუნეში ალ. ჯაბააკურ-ორბელიანი წერდა.

7 ქართული წერილობითი წყაროები შეიცავენ ცნობებს ქართული საგალობლების სამზე მეტი ხმით შესრულების შესახებ. ასევე, ნოტებზე გადატანილ საგალობლებს შორის გვხვდება სამზე მეტხმიანი გალობის რამდენიმე ნიმუში. ასეთ საგალობლებში მრავალხმიანობის საფუძველს სამი ძირითადი ხმა წარმოადგენს. დამატებითი ხმები, რომლებიც მათ ვარიანტულ დუბლირებას წარმოადგენენ, ძირითადი ხმების ჰეტეროფონულ განშტოებას წარმოქმნიან და ტემბრული ფერადოვნება შემოქვთ.

ნაპირა ხმების კოორდინაცია უპირატესად კვინტასა და ოქტავაში ხორციელდება, ზედა ორი ხმისა კი – სხვადასხვა სკოლის საგალობლებში – ხან ტერციაში, ხან კვინტასა და კვარტაში. ვერტიკალში ხმათა ჰარმონიული კოორდინირება ყველაზე მკაფიოდ საკადანსო ბრუნვებში ჩანს. სხვადასხვა საგალობელში მსგავსი საკადანსო ფორმულების არსებობა ამტკიცებს მუსიკალური აზრის განვითარების „ერთაფექტიანობას“, რაც ბუნებრივია შუა საუკუნეების საეკლესიო მუსიკისათვის.

საგალობლის საკადანსო ნაგებობების დასრულება, უმეტესად, კვინტის ინტერვალზე (შუა მუხლები), ან უნისონზე (საგალობლის ბოლო მუხლი) ხდება. საგალობლის დასასრულს ხმათა უნისონში თავმოყრა-გაერთიანება წმინდა სამების დოგმატის სიმბოლურ განსხეულებად წარმოგვიდგება.

ქართულ გალობაში გამოიყოფა ორი ძირითადი შტო – აღმოსავლური და დასავლური. ეს ორი შტო აერთიანებდა საქართველოს მრავალი სამონასტრო სკოლის თვითმყოფად სამგალობლო ტრადიციებს. ცნობილი იყო გელათის, მარტვილის, შემოქმედის, დავით-გარეჯის, შიომღვიმის, სვეტიცხოველის და სხვა მონასტრებთან არსებული საგალობო სკოლები. გალობის საერთო ფუძის, საერთო ესთეტიკურ, ენობრივ და კომპოზიციურ საფუძველთა არსებობასთან ერთად, თითოეულ სამგალობლო სკოლას საკუთარი თვითმყოფადი ტრადიციები გააჩნდა. ჩვენამდე მოღწეული დასავლური შტოს საეკლესიო საგალობლები გელათის, მარტვილისა და შემოქმედის მონასტრების საგალობო სკოლების საუკეთესო ტრადიციებს ასახავს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-კახური) გალობა – სვეტიცხოველის, სამთავისის, დავით-გარეჯის, შიომღვიმისა და მარტყოფის სამონასტრო კერების სულიერ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ჩვენამდე მოღწეულია მეტად მცირერიცხოვანი საგალობლებიც, რომლებშიც, ტრადიციულ სამგალობლო მელოდიებთან ერთად, სხვადასხვა კუთხის ფოლკლორისათვის დამახასიათებელ ფაქტურ-

რულ და ჰარმონიულ აზროვნებასაც ვხედავთ (სვანეთში, სამეგრელოში).

მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, ჩვენამდე მოსულ ათასობით საგალობელს ერთი მელოდიური ძირი აკავშირებს, რომელიც სამხმიანი გალობის ზედა ხმაშია მოცემული. გალობის ფაქტურული და ჰარმონიული მრავალფეროვნება უმთავრესად განპირობებულია თანმხლები ბანისა და შუა ხმის ვარიანტული ცვლილებებით, რაც თითოეულ სამგალობლო სკოლაში განსხვავებული პრინციპით ხორციელდება.

ქართული საეკლესიო საგალობელი, ისევე როგორც გრიგორისეული, ბიზანტიური, სლავური, სერბული და სხვა, ემყარება რვა ხმის სისტემას. ქართულ ტრადიციაში, ისევე როგორც, ზოგადად, ქრისტიანულ საეკლესიო მუსიკაში, ხმა გაიზრება, როგორც ტრადიციული, დამკვიდრებული მელოდიური ფორმულების ერთობლიობა. ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული გალობის ეს ზოგადი კანონზომიერება (ფორმულებრივი აღნაგობა) ქართულმა გალობამ უცვლელად შეინარჩუნა დღემდე.

ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ორი სახის გალობა – „სადა“ და „გავარჯიშებული“ ან – „გამშვენებული“. „სადა“ გალობა – ეს არის გალობის საფუძველი, მარტივი სამხმიანი ფაქტურის მქონე საგალობელი ტრადიციული ჰანგით, რომლის დაცვა და მომავალ თაობებზე გადაცემა, ზეპირი გალობის პირობებში მგალობელთა ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იყო. გალობის „გამშვენება“ კი გულისხმობს, „სადა“ არქეტიპის საფუძველზე, სამივე ხმის იმპროვიზაციულ მიმოხრას, ტექსტის ერთ მარცვალზე ხანგრძლივ უსიტყვო პოლიფონიურ გამღერებას. XIX საუკუნის ქართული გალობის მცოდნეთა და ქომავთა ცნობებიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეებში ქართული გალობა ჯერ „სასწავლებელი ხმებით“ (კვინტოქტავური პარალელიზმით), ხოლო შემდეგ – „სადა“ სახით (ე.ი. მარტივი

სტილით) ისწავლებოდა. შემდეგი ეტაპი იყო „გამშვენების“ თავისებურებების დაუფლება. ზოგჯერ ამ სახის გალობის ჩასაწერად გამოიყენებოდა ჩართული ხმოვნები/ფონემები – ისინი ხმის უსიტყვო ბრუნვას მიაწინებენ.

საეკლესიო საგალობლის მთავარი ჰანგის მელოდიკა თავისუფლად ირგებს სხვადასხვაგვარ ჰარმონიულ შეფერილობას, მსგავსად პოლიფონიურ სტილში გავრცელებული ხერხისა – თემის ახლებურად ჰარმონიზებისა. ამიტომ ძველ ხელნაწერთა რედაქტირებისას შესაძლებელია სხვადასხვა საგასაღებო ნიშნის გამოყენება, რაც ჰანგს სხვადასხვა კილოური მიხრილობით წარმოგვიდგენს. ეს თავისებურება – მრავალფეროვანი მრავალხმიანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა არის ქართული გალობის სიმდიდრე და განსაკუთრებულობა.

IV. სამუსიკო დამწერლობის სისტემა

შუა საუკუნეებში ქართულ საგალობო ტრადიციაში შემუშავებული ნევმური სამუსიკო დამწერლობა განსხვავებულია ამავე პერიოდის ბიზანტიური ნევმური სისტემისაგან⁸, თუმცა პალეობიზანტიური ნიშნების მსგავსად, დღემდე გაშიფრული არ არის⁹. იგი დაფიქსირებულია X-XI საუკუნეების ძეგლებში – Sin-1, იელის, მიქაელ მოდრეკილის იადგარები, იორდანეს ძლისპირთა კრებული და სხვ. ეს საკმაოდ მასშტაბური ხელნაწერები ქართული ნევმური სისტემის ერთგვაროვნებას გვიდასტურებენ. ამ ნიმუშებში დაცულია ერთი ტიპის ნიშნები, საერთოა ნევმირების მეთოდი. სისტემა მკაცრად განსაზღვრულ პრინციპებზეა აგებული და წარმოადგენს დადგენილ და გამართულ ფორმას ვოკალური მუსიკის დასაფიქსირებლად. სისტემის სრულყოფილება საფუძველს გვაძლევს, მისი ჩასახვა-განვითარების პროცესი უფრო ადრეულ – VIII-IX საუკუნე-

8 აღნიშნული დასკვნა მათი შედარებითი ანალიზის საფუძველზე გააკეთეს ფრანგმა მეცნიერმა ჟაკ თიბომ, ქართველმა მკვლევრებმა შალვა ასლანიშვილმა, გივი ლორთქიფანიძემ და სხვ.

9 ქართველი მეცნიერები განაგრძობენ მუშაობას ძველი ქართული ნევმების ამოხსნაზე.

ბში ვივარაუდოთ.

ქართული ნევმური სისტემის ორიგინალობა მჟღავნდება ვერბალურ ტექსტზე მისი განთავსების თავისებურებაში. განსხვავებით ყველა არსებული ნევმური ნოტაციისაგან, ქართულში ნიშნები მოთავსებულია სტრიქონს ზემოთ და ქვემოთ და ერთმანეთის სარკისებურად შებრუნებულ ვარიანტებს წარმოადგენენ. ქართულ ნევმურ სისტემას, ასევე, გამოარჩევს ნიშნების არასილაბური განლაგება – ტექსტის არა ყოველ მარცვალზე, არამედ ინტერვალებით, სტაბილური ნევმური ფორმულების სახით. ნევმების ტექსტზე განაწილების თვალსაზრისით ქართული ნევმური სისტემა ემსგავსება ბიზანტიურ ეკფონეტიკურ, ანუ საკითხავ ნიშნებს, რომლებიც, ასევე, გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებშიც (გელათის სახარება და შიო-მღვიმის ტიპიკონი). სავარაუდოა, რომ ჩამოყალიბების პროცესში ქართული ნევმური სისტემა დაეყრდნო ბერძნულ ეკფონეტიკური ნიშნების სისტემას და მისთვის ახლობელი ზოგიერთი პრინციპი გაითავისა.

XI-XVIII საუკუნეებს შორის შუალედში, დღეისათვის ცნობილ ქართულ წერილობით ძეგლებში ნევმური სისტემა აღარ ჩანს, მაგრამ ნევმირების პროცესის უწყვეტობაზე მიგვითითებს XVIII-XIX საუკუნეების ნევმირებული ხელნაწერები¹⁰, რომლებშიც დაცულია ნევმირების ძველი მეთოდი, თუმცა გვხვდება ახალი გრაფიკის მქონე ნიშნები, ტირეებისა და წერტილების კომბინაციები. ჰანგის დაფიქსირების ასეთი მეთოდი უკავშირდება ქართული „გამშვენებული“ / „გავარჯიშებული“ გალობის ფენომენს.

ქართული საეკლესიო გალობის კიდევ ერთი სახეობაა „ჭრელის“ სახელით ცნობილი რთული პოლიფონიური ქსოვილისა და განვითარებული ჰანგის მქონე საგალობელთა ჯგუფი. „ჭრელი“ არაერთგვაროვანი მნიშვნელობის ტემინია და გულისხმობს არა მარტო მელოდიურ ნაგებობა-მოდულს, არამედ რთული, განვითარ-

10 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდები: Q-845, Q-651, Q-830, Q-634, H-657.

რებული ჰანგის პოლიფონიურ საგალობელს. ამავდროულად, ქართულ საეკლესიო მუსიკაში ტერმინი „ჭრელი“ აღნიშნავს ჰანგის ჩანერის ვერბალურ მეთოდს. იგი გულისხმობს საგალობლის მელოდიის განმარტებას სიტყვიერად მოდუსების ანუ „ჭრელების“ მეშვეობით. „ჭრელთა“ სისტემის შემცველი ძეგლები ინტენსიურად გვხვდება XVII საუკუნიდან¹¹, მაგრამ ეს ტერმინი და მისი ზოგადი კანონზომიერებები საგალობო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია უკვე XIII საუკუნეში, სახელდობრ, „ჭრელი“ საგალობლები XIII და XVII-XVIII სს-ის წყაროებში ერთი და იგივე ფუნქციითაა წარმოდგენილი.

V. განათლების სისტემა

უკვე IX-X საუკუნეების საქართველოში პროფესიული სასულიერო სამუსიკო განათლება სრულყოფილ, ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენდა. საგალობო ხელოვნების სწავლებას „ხმითა სასწავლელი სწავლა“, ხოლო გალობის მასწავლებელს „გალობის-მოძღვარს“, ან „მგალობელთუხუცესს“ უწოდებდნენ. ქართულ საგალობო კერებში სასულიერო პოეტური ტექსტების თარგმნა და მათი განყოფილება ხმის ინტონაციებზე ცალკე სწავლებად ჩამოყალიბდა, რაც „დასდებლის მეცნიერების“ სახელით იყო ცნობილი. ამ მეცნიერებას დაუფლებული პირები „მეხელებად“ იწოდებოდნენ. XII საუკუნეში, ორიგინალური საგალობლების შემთხვევით „ხელოვანთ-მთავრები“ ერქვათ. ცნობილია აგრეთვე ერთგვარი პროფესია „მნიშვნელნი“, რომელთაც ჰიმნოგრაფიული ტექსტის ნევემებით აღბეჭდვა ხელეწიფებოდათ. დაახლოებით XVIII საუკუნიდან ჩნდება ტერმინი „სრული მგალობელი“. იგი სულხან-საბა ორბელიანის (1658–1725) ლექსიკონში „ლოდბარის“ პარალელურია. „სრული მგალობლობა“ გულისხმობდა მთელი წლის საგალობო რეპერტუარის ზეპირად ცოდნას, ასევე „დასდებლის

მეცნიერების“ ფლობას. სწავლების ამგვარი დიფერენცირება ქართული საეკლესიო მუსიკალური კულტურის მაღალ პროფესიულ დონეზე მეტყველებს. მართალია, დღეისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება რაიმე ნივთიერი საბუთი საქართველოში, ან მის საზღვრებს გარეთ არსებულ კერებში პროფესიული მუსიკის თეორიული კვლევისა, მაგრამ ჰიმნოგრაფიული ძეგლების მინაწერებსა და ანდერძებში დაცული სხვადასხვა ტიპის განმარტება და მითითება, უაღრესად ზუსტ კონტექსტში გამოყენებული მუსიკალური ტერმინებით, მეტყველებს იმდროინდელი მუსიკალურ-თეორიული აზრის განვითარების სათანადო დონეზე.

წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია XIX–XX საუკუნეებში ჩანერილი ძველი ქართული საეკლესიო მუსიკის სხვადასხვა სამგალობლო ტრადიციის ნიმუშები, როგორც „სადა“, ასევე „გამშვენებული“ და „ჭრელი“ ვარიანტები. ისინი მკაფიოდ წარმოაჩენენ ქართული გალობის პოლიფონიური აზროვნების სხვადასხვა ფორმებს (და სავარაუდოდ, ეტაპებს) – ჰეტეროფონიიდან რთული პოლიმელოდიური ფაქტურისაკენ, თვითმყოფადობას, სიმდიდრესა და მაღალმხატვრულობას, რაშიც შუა საუკუნეების ასკეტურ ატმოსფეროსთან ერთად, ქართული, ე.წ. აღმოსავლური რენესანსის (ა. ლოსევი, შ. ნუცუბიძე) ესთეტიკაც ვლინდება.

თამარ ჩხეიძე

¹¹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდები: Q-298, H-2282, Q-103, Q-104, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერები No. 368 და No. 467.

THE GEORGIAN CHANT

I. History

There is a direct link between the history of Georgian chants and the introduction and spread of Christianity throughout Georgia. The Christian faith was first preached in the 1st century by the apostles Andrew the First-Called, Simon the Canaanite, and Matthias; and in the 4th century (325 AD) it was already a state religion.

Georgian chant as an inherent part of the Georgian Divine Liturgy dates back to the time when the Gospel, hymns of Liturgy, and psalms were translated into Georgian. This can be illustrated by the earliest Georgian literary work *The Holy Queen Shushanik* surviving from the 5th century. In this work the Gospel, Psalms, and chants are mentioned as separate concepts. In the 5th century the Church of Georgia gained independence – autocephaly – from the Byzantine churches. Since then Georgian Christian culture has displayed an aspiration for expressing its national identity. Based on written records it is known that divine services in Georgian churches were carried out in the Georgian language back in the 6th century,¹ which leads us to think that original Georgian chant had been already shaped by that period. The development process of the oldest strata of the chant (chants of Liturgy and psalms) that had started in our country in 4th–6th centuries, continued later on and, influenced by other Christian churches, led to the formation of new hymnographical genres (troparia, kontakia, canons etc.).

Georgian Christian culture developed at monastic places in and outside Georgia – Palestine, Mount Sinai, Mount Athos, Jerusalem, etc. Hence, it was in constant touch with Syrian, Palestinian, Byzan-

tine, Coptic, and other Christian cultures. During 5th–8th centuries, there were over twenty Georgian monasteries in Palestine and on Mount Sinai. The most distinguished among these was St. Sabbas the Sanctified Monastery, where a foundation was laid for Georgian hymnography (7th century). Initially it was presented by hymns translated from Greek. Translated hymnographic material was collected in ancient Georgian monuments – lectionaries. Several ancient copies of lectionary (from Kala, Latali, Paris, and Mount Sinai) reflect liturgical practice in Jerusalem from the late 5th century until the 10th century. The mentioned lectionary shows three basic types of chant performance: responsorial, antiphonal, and single-choir.

The first independent hymnographic collections – *iadgaris* – were created on the basis of lectionary. They united the chants to be performed throughout the year. Several copies of the ancient *iadgari* have survived, out of which only one is preserved in Georgia,² and all the others (9th and 10th centuries) are kept as part of the Georgian manuscript collection at St. Catherine's Monastery on Mount Sinai.³ The ancient *iadgaris* contain unique data about early stages in the development of Byzantine and Georgian hymnographies and the custom of performing chants. For example, they show the Georgian synonyms that earlier denoted the concepts of “chant” and antiphonal performance.

From the 10th century, Georgians suppressed by Arabs took the manuscripts kept at St. Sabbas Monastery from the Holy Land to other monastic centers situated in eastern Christian countries. Supposedly, that is how they turned up on Mount Sinai, where the traditions of St. Sabbas' school of hymnography

1 In the will of St. Sabbas the Sanctified (+532) the Georgian brotherhood was authorized to perform different church services in Georgian in his monastery, which proves that in the 6th century the Georgian liturgy existed in a complete form (including chants).

2 H-2123: an *iadgari* written on a parchment and papyrus, 9th–10th centuries.

3 Sin.18, Sin.40, Sin.41, Sin.34, Sin.26, Sin.20 – 9th, 10th centuries.

were continued.

A further development of Georgian hymnography is connected to the monastic schools of Tao-Klarjeti headed by St. Grigol of Khandzta – a great ecclesiastical figure of the 9th century. He himself composed a complete collection of chants – *Satselitsdo iadgari*–which laid the foundation for the further development of original hymnography. From the 9th century, original hymnographic work intensively developed and reached a pinnacle alongside the translation process in the 10th century, when the so-called great *iadgaris* were created (*iadgaris* from Tsvirmi, Ieli, and Michael Modrekili's *iadgari*). The most remarkable are the great *Mekhuri iadgaris*. *Mekhuri* is a Georgian hymnographical term denoting chants written (or translated) in a new “meter” and set to a tune. *Mekhuri iadgaris* contain ancient chant notation signs – neumes. The introduction of the eight-tone system and the dominance of the irmos-troparion (*dzlispir-dasdebeli*) form determined the application of neumatic notation. At this time, a new type of hymnographer – *mekheli* – appeared. This was a person skilled in the “study of troparia”, who translated examples of early Byzantine rhythmic poetry into Georgian, maintaining the rhythm and adjusting the traditional Georgian tunes to the texts translated into Georgian. Michael Modrekili's *Satselitsdo iadgari* (S-425)⁴ stands out among *Mekhuri iadgaris*. It has united and systematized the entire hymnographic heritage – both translated and original. This *iadgari* shows that by that period, Georgians had composed original irmois and music as well. The collection was compiled in 978-988 and was supplied with neumes.

From the 11th century, Iveron Monastery on Mount Athos was the most powerful center of Georgian Christian literature and music. The names of its founders – Ekvtime and Giorgi the Hagiorites – are associated with the new stage of Georgian hymnography, particularly with new principles of translating hymnographic works. The Fathers from Athos

⁴ The funds of the K. Kekelidze Georgian National Center of Manuscripts is implied under such a denotation.

translated the most significant hymnographic collection from Greek. The *Satselitsdo Iadgaris* kept at Iveron Monastery on Mount Athos were replaced by new collections – *Ttueni* (Menologium). The most distinguished was a *Ttueni* compiled by Giorgi Hagiorite, in which he collected the chants dedicated to different saints by all authors. *Ttueni* could not be found in such a complete form among Greek works; hence, along with translation work, Giorgi the Hagiorite created original texts and music.

In the 11th century, Petritsoni Monastery (Bulgaria) represented a significant literary and philosophical center. It was built in 1083 by Grigol Bakurianis-dze, who was Georgian by nationality. For 20 years, the seminary established within the monastery was headed by Ioane Petritsi – a well-known religious figure and Georgian neoplatonic philosopher, whose name is associated with the formation of aesthetic thinking in medieval Georgia and with the first written confirmation of the existence of polyphony in Georgia in the Middle Ages. In his work *Commentaries of Platonic Philosophy and Proclus Diadochus* Petritsi indicates the names of three voice parts: *mzakhri* (first voice), *zhiri* (second voice), *bami* (bass) and suggests to the Georgian reader that three-part singing is a musical analogy to the Holy Trinity. Obviously, at that time polyphony was quite common in Georgia and the original names of the voice parts were widely known terms, so the philosopher defines the dogma of Trinity with concepts which were well-known to Georgians.

From the 12th century, Gelati Monastery – being founded by Davit Aghmashenebeli – became distinguished among local educational and religious centers and was one of the most important hymnographic centers in Georgia until the early 20th century.

In all the religious and cultural centers previously mentioned, not only hymnographic genres but also all the strata of the Georgian chant developed and passed down from generation to generation. Moreover, the intensive development and uniqueness of

hymnography indicates that the process of development of the main liturgical- musical genre – Liturgy the hymns chanted during this service – was going successfully. It is not by chance that among the notated hymns chanted in the tradition that survived to the 19th century, hymns for Liturgy stand out thanks to their melody, polyphony, harmonical development, and diversity.

Due to the grave political situation in Georgia during the 13th–16th centuries, the art of chant started to decline. Hymnographic collections were destroyed at pilfered churches. Only in the monasteries surviving the raids were Georgian chants still heard and passed down from generation to generation. They found a new, alternative way of survival – shifting from monasteries to the secular sphere and receiving a new stimulus for developing in close contact with folk songs. So, notwithstanding the difficult historical circumstances, the natural development process of Georgian chant still continued, although it proceeded very slowly. 17th-18th-century hymnographic collections known as the Festive Chants surviving to this day and thousands of notated chants that had survived to the 19th century testify this.

At the end of the 18th century King Erekle II took the initiative to restore the traditions of Georgian chant. For this purpose the Catholicos' School of Svetitskhoveli was founded and renowned chanters from different parts of Georgia were specially invited to teach there. However, this period of revival did not last long. The abolition of the autocephalous status of the Georgian Church (1811), banning of the Georgian prayers and chants, and the introduction of the Divine Liturgy and chanting in Russian was a great threat to the existence Georgian chant.

From the second half of the 19th century the national liberation movement against the policy of the Russian empire gave rise to the battle for the preservation of Georgian traditional values, including Georgian chant. The transcription of chants to a notation system during this period was, in fact, the end of the 15 centuries long history of the development of me-

dieval Georgian Christian music.

The experts in Georgian chant who greatly contributed to the documentation of chants were St. Philimon Koridze, St. Bishop Gabriel Kikodze, Anton Dumbadze, Dimitri Chalaganidze, Ivliane Tsereteli, Deacon Razhden Khundadze, St. Abbot Ekvtime Kereselidze, St. Bishops Alexandre Okropiridze and Stepane (Vasil) Karbelashvili, St. Deacon Polievktos Karbelashvili, Alexandre and Davit Molodinashvili, Mikheil Elizbarashvili, Pilimon Karbelashvili, Davit Chijavadze-Mikhailov, and others. Noteworthy is the merit of Russian musicians – Mikhail Ippolitov-Ivanov, Kristofor Grozdov, and Nikolai Klenovski. Thousands of chants transcribed by them are now preserved at the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, the National Archive of Georgia and the Folklore State Centre of Georgia. Maxime Sharadze, the founder of the first music publishing company and his supporters – St. Ilia the Righteous (Chavchavadze) and Alexandre Khakhashvili⁵ – also played an important role in the notation of chants.

From 1921, Georgian chant and spirituality in general faced another danger – a totalitarian regime which carried out a harsh struggle against the Christian religion. During certain periods, Georgian chant was lost to Georgian society, who found it too difficult to accept such a loss. Even under the soviet regime in the 1960s, about a hundred chants sung by Artem Erkomaishvili (1887–1967), one of the last master chanters, were transcribed at Tbilisi State Conservatoire; while the well-known folklore ensembles Gordela and Rustavi performed chants on stage and recorded them under the name of Choral. From 1978, with the effort of the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II, chants created by different composers were heard in Georgian churches along with the old traditional hymns.

The extensive revival of Georgian traditional chant started in the 1980s, when members of the Anchiskhati church choir obtained the published and

⁵ The first fully printed collections of Georgian traditional chants were published in 1895-1911.

handwritten scores of Georgian chants and started to perform those ancient tunes. At present, by the order of the Holy Synod of Georgia, Divine Liturgy at Georgian churches is served only with the accompaniment of ancient Georgian chants.

II. Liturgical Books

In the early Middle ages, Georgian hymnographers had already translated all the liturgical collections made by the Orthodox Church. Moreover, they did not confine themselves to translating the materials, but enriched them with original chants and compiled original collections, heavily relying on Byzantine and Georgian sources. As a result, some original Georgian collections, both generally Christian and those containing individual terminology, are slightly different from their Greek counterparts. Among such collections are the *Iadgari*, *Khmani* and *Guerd-ni* (the collections of the hymns of the *Octoechos*), and *Dzlispirni da Ghvtismshoblisani* (*Heirmi and Theotokia*). In Georgian liturgical practice an original collection called *agulani* (in Greek *Pandect*) was compiled. It combined all liturgical books read throughout the year and was quite large. 18th century Georgian hymnographic and 19th century sheet music monuments have preserved the Good Friday Matins chant book *Shekhvetiliani*, whose contents and compositional features are similar to the passion genre.

III. Music

According to some Georgian scholars, since Christianity was brought to Georgia from Byzantium, the chants performed in Georgian churches should have been monodic (influenced by Jewish, Syrian, Greek, or Roman liturgies). However, others think that Georgian chant was polyphonic from the early period of Christianity.⁶

⁶ This version was suggested by Catholicos-Patriarch Kirion (Sadzaglishvili), who was later declared a saint, and Deacon Polievktos Karbelashvili. This opinion is based on the tradi-

Today it is difficult to specify when exactly the Byzantine tunes were “adjusted to the local taste”⁷ or made polyphonic, but that would not take long, since the monodic chants introduced to Georgia would come across the unique national musical thought. The main principle of this thought was polyphony, as it reflected the individual way of the Georgian ethnos in perceiving the world. Therefore, the choral for three voice parts became the symbol of the Christian Trinity as it expressed the Christian ideology of Georgians.

Unlike folk music, which has preserved monodic songs as well as the ones sung in two, three, or four voice parts along with different forms of polyphony, Georgian chant is mostly meant for three voice parts.⁸ It is the result of the professional music born in the bosom of the national church and, naturally, by the logic of internal organization with its polyphony differing from the polyphony characteristic of folk song – the composition of chants is based on a melodious formula intended for polyphonic and improvised performance. The chant does not have a number of compositional peculiarities (e.g. *ostinatos*, *yodeling*, the melismatic counterpoint of higher voices against the backdrop of a *bourdon bass* etc.) typical of folklore music. In chants we encounter both heterophonic and polyphonic textures inclusive of complex poly-melodies which are realized in different forms and variants depending on the school and style of chanting. Besides, the main principle remains unchanged – the same tunes are repeated in a renewed and “ornate” style.

Along with the horizontal development of a song, in Georgian chants there exists the principle of the

tional teaching of the Church of Georgia, which names the peculiarities of the early Christian liturgy, particularly the improvisation of chants by the parish as an indirect argument.

⁷ Al. Jambakur-Orbeliani wrote about this.

⁸ Georgian written sources provide information about the existence of chants sung by more than three voice parts. Such chants can also be encountered among notated chants. In such chants the polyphony is created by three main voice parts, while the additional voice parts represent their variant duplication, heterophonic branching of the main voices and creating timbral diversity.

invariable vertical coordination of the other voices with the main tune sung by a high voice part. Its harmonical system is modal and is based on a diatonic mode system; the vertical sonority is mostly consonant, however, the use of dissonances is also common in the polyphonic texture; the harmonization of the outer voices is mostly realized in fifths and fourths, while the two upper voices – in chants belonging to different schools – are harmonized in thirds, fifths, and fourths. The harmonical coordination of the voices in a vertical sonority is most vivid in cadence figures. The existence of similar cadential formulae in different chants shows that the development of the musical idea is directed to express a “single-affect principle” natural to medieval church music.

The cadential construction of a chant ends on the fifth interval (middle sections), or the unison (the last section of a chant). The merging of voices on a unison at the end of a chant symbolizes the doctrine of the Holy Trinity.

Georgian chant is divided into two branches – eastern and western. These two branches combined the individual chant traditions of many monastic schools in Georgia. Well-known were the chant schools functioning at Gelati, Martvili, Shemokmedi, Davit-Gareja, Shio-Mghvime, Svetitskhoveli, and other monasteries. Having a common basis and aesthetic, language, and compositional features, each of those schools had its own individual traditions. The chants representing the western branch surviving to this day, reflect the best traditions of the Gelati, Martvili, and Shemokmedi chant schools, while eastern Georgian (Kartl-Kakhuri) chant represents the spiritual heritage of the Svetitskhoveli, Samtavisi, Davit-Gareja, Shio-Mghvime, and Martkopi monastic schools. Very few chants that have survived to the present day, together with traditional chant melodies, are characterized by the textural and harmonical thought typical of the folklore of different regions of Georgia (Svaneti, Samegrelo).

Despite such diversity, thousands of chants sur-

iving to the present have a common melodic root given in the highest voice part of the three-voice chant. The textural and harmonic variety of chant is mostly conditioned by the variant changes of the accompanying bass and middle voice part, which in each school is realized through a different principle.

Georgian chant, as well as Gregorian, Byzantine, Slavic, Serbian, and other chant, is based on the *ochtoechos* system. The Georgian tradition, as well as Christian church music in general, consider a tone as a combination of traditional, already established melodic formulae. This general law of early medieval Christian chant (being composed of melodic formulas) is still preserved in Georgian chant.

Georgian chant practice distinguishes two kinds of chants – “plain” and “elaborate” or “ornate” chants. The “plain” chant is the substance of chant; it has a simple three-voice texture and a traditional tune, which was carefully preserved and orally handed down to the next generation by chanters.

The “ornamentation” of a chant implies the improvised movement of all three voices based on a “plain” archetype, prolonging the polyphonic tune (without words) on one syllable of the text. According to information provided by experts and supporters of Georgian chant in the 19th century, in the Middle Ages, the style in which learners of Georgian chants were first taught to sing was called “training voices” (fifth octave parallelism), and later they performed chants in “plain” form (singing in a “simple style”). The next stage was mastering the peculiarities of “ornate” chants. Sometimes such chants were transcribed with the help of inserted vowels/phonemes, which implied turns of the voice without singing words.

The melodic pattern of the main tune of a chant could take any harmonic coloring, which is like harmonizing a theme in a new way – a method frequently used in polyphonic style. Therefore, while editing the old manuscripts it is possible to use different clefs, which present the tune in different modal inflections. This peculiarity – the possibility of diverse polyphonic interpretations – is what makes

Georgian chant rich and unique.

IV. Musical Notation System

The neumatic notation elaborated within the Georgian chant tradition in the Middle Ages is different from the Byzantine neumatic system of the same period,⁹ although, like the Paleo-Byzantine notations, it has not been deciphered yet.¹⁰ It was found in the 10th-11th-century monuments – Sin-1, the Yale *Iadgaris*, the *Iadgaris* of Michael Modrekili, the Jordan Collection of Irmoi etc. These quite large manuscripts demonstrate the homogeneity of the Georgian neumatic system. They contain symbols of one type and use a shared method of neumatizing. The system is based on a strict principle and represents an established and well-organized form for notating vocal music. The perfection of that system leads us to think that the process of its elaboration began much earlier – in the 8th or 9th century.

